საქართველოს სახალხო დამცველი

2016 წლის საქმიანობის ანგარიში

თბილისი 2017

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

სარჩევი

შესავალი....4

I. მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში....5

1. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია....5
2. მოსახლეობის მიღება და კონსულტაციები....10
3. სახალხო დამცველის ცხელი ხაზი 14-81....12

II. ადამიანის უფლებათა დარღვევებზე სახალხო დამცველის რეაგირებები....14

1. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები....14
2. საკონსტიტუციო სარჩელები და სასამართლო მეგობრის მოსაზრებები....22
3. სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა....22
4. მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესში....23
5. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები....25

III. სახალხო დამცველის ურთიერთობები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე....26

1. თანამშრომლობა სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორთან....26
2. თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე....28

IV. საგანმანათლებლო საქმიანობა....32

1. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემია....32
2. კონკურსი „მე ომბუდსმენი“....33

V. საზოგადოებასთან ურთიერთობა....35

VI. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური და ფინანსური რესურსი....36

1. დასაქმებულთა რაოდენობა....36
2. რეგიონული ოფისები....37
3. სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტი....42
4. სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული პროექტები....42

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის საქმიანობის შემაჯამებელ დოკუმენტს. მასში ასახულია სახალხო დამცველის აპარატში მოქალაქეთა მომართვიანობის, სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია/წინადადებების და მათი შესრულების სტატისტიკური მაჩვენებელი; სახალხო დამცველთან არსებული საკონსულტაციო/მრჩეველთა საბჭოების საქმიანობა, ასევე, ადამიანის უფლებათა სფეროში განათლებისა და ცნობიერების ამაღლების კუთხით აპარატის მიერ შესრულებული სამუშაო. ანგარიშში იხილავთ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფინანსური და ადამიანური რესურსების შესახებ მონაცემებს და ინფორმაციას სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით შესრულებული პროექტების შესახებ.

I. მომართვიანობა სახალხო დამცველის აპარატში

2016 წელს სახალხო დამცველის ბრძნებით დამტკიცდა და ამოქმედდა „სახალხო დამცველის აპარატში საქმისწარმოების ერთიანი წესი“, რომელიც ხელმისაწვდომია ოფიციალურ ვებ_გვერდზე. [1]

საანგარიშო პერიოდში, 2015 წლის მსგავსად, საქართველოს სახალხო დამცველისადმი მომართვიანობა მაღალი იყო.

ადამიანის უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტების შესახებ სახალხო დამცველი ინფორმაციას იღებდა:

- სახალხო დამცველის რომელიმე ოფისში ადგილზე ვიზიტით და განცხადება/საჩივრის რეგისტრაციით
- ელექტრონული ფოსტის მეშვეობით: info@ombudsman.ge office@ombudsman.ge
- სოციალური ქსელით: www.facebook.com/OmbudsmanofGeorgia
- საქალაქო ნომრის საშუალებით (032) 2-23 44 99
- ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებით: 14-81

1. მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია



[1] http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3983.pdf

2016 წელს რეგიონულ ოფისებში შესული განცხადებების რაოდენობამ 1 240 შეადგინა, რაც არის საერთო რაოდენობის 14,5 %-ი.



სახალხო დამცველის აპარატში შემოსული განცხადებების/საჩივრების განაწილება დეპარტამენტების მიხედვით:



2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა დაასრულა მუშაობა და შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიიღო 7 196 განცხადება/საჩივარზე:

#	დეპარტამენტის დასახელება	დასრულებული საქმეების რაოდენობა
1	სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი	4319
2	რეგიონული დეპარტამენტი	1324
3	სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი	606
4	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი	392
5	ბავშვის უფლებათა ცენტრი	201
6	გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი	87
7	თანასწორობის დეპარტამენტი	74
8	ანალიტიკური დეპარტამენტი	68
9	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი	61
10	პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი	36
11	თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი	19
12	მთავარი მრჩეველი კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების საკითხებში	5
13	მთავარი მრჩეველი იურიდიულ საკითხებში	3
14	პროექტი "სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა ლტოლვილთა, ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში"	1
	ჯამი	**7 196**

2016 წელს სახალხო დამცველის აპარატმა მოამზადა და გააგზავნა 15 623 კორესპონდენცია სხვადასხვა უწყებებში თუ პირებთან.

#	სტრუქტურული ერთეული	გაგზავნილი კორესპონდენციის რაოდენობა
1	საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების დეპარტამენტი	5745
2	სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი	2772
3	რეგიონული დეპარტამენტი	1667
4	სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი	1091
5	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტი	699
6	ბავშვის უფლებათა ცენტრი	644
7	გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი	566
8	თანასწორობის დეპარტამენტი	465
9	თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი	171
10	პრევენციის და მონიტორინგის დეპარტამენტი	162
11	ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტი	81
12	ანალიტიკური დეპარტამენტი	80
13	საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი	5
14	ადამიანის უფლებათა აკადემია	1
15	სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაგზავნილი სხვადასხვა კორესპონდენცია	1474
	ჯამი	**15.623**

2016 წელს გაზრდილია სახალხო დამცველის აპარატითვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული განცხადებების რაოდენობა.



2. მოსახლეობის მიღება და კონსულტაციები

2016 წელს გაზრდილია მოქალაქეთა ვიზიტების რაოდენობა სახალხო დამცველის თბილისის ოფისში (მათ შორის ვიზიტორები, რომლებმაც მიიღეს კონსულტაცია).




გაწეული კონსულტაციების რაოდენობა
(თბილისის ოფისი)
2016 წელი
2396
2111
სატელეფონო კონსულტაცია
ვიზიტორებისათვის გაწეული კონსულტაცია


მომართვიანობა სქესის მიხედვით
(თბილისის ოფისი)
2015 წელი
2016 წელი
1519
1752
5694
7075
მდედრობითი სქესი
მამრობითი სქესი

3. სახალხო დამცველის ცხელი ხაზი 14-81

საანგარიშო პერიოდში ფუნქციონირებდა სახალხო დამცველის ცხელი ხაზი **14–81,** რომელიც ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ინფორმაციას 24 საათის განმავლობაში იღებს ქვეყნის ნებისმიერი ადგილიდან. ცხელ ხაზზე დარეკვა შესაძლებელია როგორც საქალაქო, ისე მობილური ოპერატორებიდან. ცხელ ხაზზე შემოსულ შეტყობინებებზე, თბილისის მასშტაბით დაუყოვნებელ რეაგირებას ახდენდა მობილური ჯგუფი.

2016 წელს ცხელ ხაზზე სულ შემოვიდა 2 559 ზარი.

ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების და მობილური ჯგუფის ადგილზე გასვლის შედეგად სულ შედგა 337 ოქმი, აქედან - 167 შეტყობინება ეხებოდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სავარუდო უფლებების დარღვევას.

შემოსული შეტყობინებების რაოდენობა	**დაწესებულების ნომერი**
43	**#8 დაწესებულება**
38	#2 დაწესებულება
21	#3 დაწესებულება
17	#5 დაწესებულება
14	#6 დაწესებულება
9	#18 დაწესებულება
7	#15 დაწესებულება
5	#14 დაწესებულება
4	#17 დაწესებულება
3	#19 დაწესებულება
3	#7 დაწესებულება
2	#16 დაწესებულება
1	დმი
167	**ჯამი**

ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების რაოდენობა, სავარაუდო უფლებადარღვევის ჩადენის ადგილისა და შეტყობინების განხორციელების ადგილის მიხედვით ასე გამოიყურება:

შეტყობინების მიღებისა და სავარაუდო უფლებადარღვევის ადგილი	შეტყობინების რაოდენობა	სავარაუდო უფლებადარღვევის რაოდენობა
აჭარის ა.რ.	34	28
გურია	2	1
თბილისი	207	169
იმერეთი	31	55
კახეთი	10	11
მცხეთა-მთიანეთი	5	17
სამეგრელო-ზემო სვანეთი	12	3
სამცხე-ჯავახეთი	8	3
ქვემო ქართლი	14	41
შიდა ქართლი	7	7

II. ადამიანის უფლებათა დარღვევებზე სახალხო დამცველის რეაგირებები

1. სახალხო დამცველის რეკომენდაციები და წინადადებები

2016 წელს (2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის პერიოდში) საქართველოს სახალხო დამცველმა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების და კერძო (ფიზიკური და იურიდიული) პირების მიმართ გასცა **77** რეკომენდაცია/წინადადება/ზოგადი წინადადება, აქედან 15 (რეკომენდაცია/ზოგადი წინადადება) გაიცა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.
2016 წელს მომზადებული სპეციალური ანგარიშების ფარგლებში ასევე გაცემულია 185 რეკომენდაცია.




რეკომენდაციები/წინადადებები უფლებების მიხედვით
2016 წელი
თანასწორობის უფლება 15
საკუთრების უფლება 13
ქალთა უფლებები 11
არასათანადო მოპყრობა 9
შრომითი უფლებები 6
ბავშვთა უფლებები 4
თავისუფალი გადაადგილების უფლება 3
საკანონმდებლო წინადადება 2
უფლება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე 2
დევნილთა უფლებები 2
სამართლიანი გამოძიების უფლება 2
სიცოცხლის უფლება 1
საარჩევნო უფლება 1
პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება 1
პატიმართა უფლებები 1
შშმ პირთა უფლებები 1
სამართლიანი სასამართლოს უფლება 1
სოციალური უზრუნველყოფის უფლება 1
ჯანდაცვის უფლება 1


რეკომენდაციები/წინადადებები სტრუქტურული ერთეულების მიხედვით
2016 წელი
სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი
25
თანასწორობის დეპარტამენტი
15
სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი
13
გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი
13
რეგიონული დეპარტამენტი
4
ბავშვთა უფლებათა ცენტრი
3
მთავარი მრჩეველი (კონფლიქტით დაზარალებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა საკითხებში)
2
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი
1
თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი
1

2016 წელს გაგზავნილი რეკომენდაცია/წინადადებები, უწყებების მიხიდვით:

	ადრესატი	რაოდენობა
1	საქართველოს მთავარი პროკურატურა	18
2	საქართველოს მთავრობა	7
3	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	7
4	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	5
5	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	4
6	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	4
7	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	3
8	საქართველოს პარლამენტი	3
9	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	3
10	ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია	3
11	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	2
12	გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია	1
13	საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1
14	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1
15	სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო	1
16	სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	1
17	სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	1
18	ტელეკომპანია ტაბულა	1
19	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმხორციელებელი მუდმივმოქმედი კომისია	1
20	ქალაქ რუსთავის მერია	1
21	შპს "გეო ფიტნქსი"	1
22	შპს „ახალი მზერა“-	1
23	შპს „ელიტ სერვისი“	1
24	შპს „საქართველოს ფოსტა“	1
25	შპს „ქობულეთის წყალის, ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს	1

26	შპს მიკრო საფინანსო ორგანიზაციას „კრედო“	1
27	შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სისი ლოუნი"	1
28	ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა	1
29	ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების	1

თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობის ფარგლებში გაცემულია 15 წინადადება/რეკომენდაცია

(მათ შორის კერძო კომპანიების/პირების მიმართ):

	ადრესატი	რაოდენობა
1	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	1
2	საქართველოს მთავრობა	1
3	შპს „ელიტ სერვისი“	1
4	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1
5	ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანების	1
6	საქართველოს მთავრობა	1
7	შპს მიკრო საფინანსო ორგანიზაციას „კრედო“	1
8	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1
9	შპს „ახალი მზერა“-	1
10	შპს „ქობულეთის წყალის, ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი	1
11	შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სისი ლოუნი"	1
12	ტელეკომპანია ტაბულა	1
13	შპს "გეო ფიტნქსი"	1
14	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	1
15	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	1

2015 წლის მსგავსად, 2016 წელს არსებითად შენარჩუნდა რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების და მათზე რეაგირების მაჩვენებელი.

2016 წელს რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების მაჩვენებელი




რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების მაჩვენებელი უწყებების მიხედვით - 2016 წელი
უწყებები, რომელზეც გაიცა ერთზე მეტი რეკომენდაცია/წიანდადება
პასუხი არ მოსულა
მხოლოდ შუალედური პასუხი
ნაწილობრივ შესრულდა
არ შესრულდა
შესრულდა
საქართველოს მთავარი პროკურატურა
1
1
2
14
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
1
6
საქართველოს მთავრობა
2
1
2
2
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
4
1
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო
1
2
1
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო
1
2
1
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
1
2
სსიპ საჯარო რეესტრის ერვონული სააგენტო
2
1
საქართველოს პარლამენტი
2
1
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო
2
1
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს - 2
1
1

რეკომენდაციების/წინადადებების შესრულების მაჩვენებელი უწყებების მიხედვით - 2016 წელი

უწყებები, რომელზეც გაიცა ერთი რეკომენდაცია/წიანდადება

უწყების დასახელება	შესრულდა	არ შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	მხოლოდ შუალედური პასუხი	პასუხი არ მოსულა
გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებზე რეაგირების დროებითი სამთავრობო კომისია			1		
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო			1		
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	1				
სსიპ აღსრულების ეროვნული ბიურო	1				
სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	1				
სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო			1		
ტელეკომპანია ტაბულა					1
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების უფლებამოსილების განმხორციელებელი მუდმივმოქმედი კომისია					1
ქალაქ რუსთავის მერია			1		
შპს "გეო ფიტნესი"					1
შპს „ახალი მზერა“		1			
შპს „ელიტ სერვისი“					1
შპს „საქართველოს ფოსტა“			1		
შპს „ქობულეთის წყალის, ქ. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი					1
შპს მიკრო საფინანსო ორგანიზაციას „კრედო“	1				
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „სისი ლოუნი"		1			
ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობა			1		
ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება	1				

2. საკონსტიტუციო სარჩელები და სასამართლო მეგობრის მოსაზრებები

2016 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ერთი საკონსტიტუციო სარჩელი წარადგინა. [2]

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველმა საერთო სასამართლოებში და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება ცხრაჯერ წარადგინა.

საერთო სასამართლოებსა და საკონსტიტუციო სასამართლოში წარდგენილი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებები დეპარტამენტების მიხედვით

დეპარტამენტი	რაოდენობა
თანასწორობის დეპარტამენტი	4
გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი	2
ანალიტიკური დეპარტამენტი	2
სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი	1

3. სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა

სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173[4] მუხლი შრომის ანაზღაურების ოცდან ორმოცდაათ მინიმალურ ოდენობამდე დაჯარიმებას ითვალისწინებს.

სახალხო დამცველი სამართალდარღვევათა ოქმს ადგენს და სასამართლოს მიმართავს, კონკრეტული თანამდებობის პირის მიერ მოთხოვნის შეუსრულებლობისთვის. სასამართლო სახალხო დამცველის ოქმს განიხილავს და კანონმდებლობით გათალისწინებული სახდელის ფარგლებში გადაწყვეტილება გამოაქვს.

[2] კონსტიტუციური სარჩელი #770 (17.06.2016)

2016 წელს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის ჩატარებული სამართალწარმოების სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



2016 წელს ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო: შპს "საქართველოს ფოსტის" გენერალური დირექტორის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მენეჯერის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს პატრულ-ინსპექტორისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეგელის წინააღმდეგ.

4. მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესში

2016 წელს სახალხო დამცველმა საქართველოს პარლამენტში წარადგინა 4 საკანონმდებლო წინადადება:

1. სახალხო დამცველის საკანონმდებლო წინადადება **საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონში და საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონში** ცვლილებების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილების გაფართოებას.

2. **სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში** ცვლილებების პროექტი, რომლის მიზანიცაა საქართველოს ორგანული კანონის დახვეწა, ნორმატიულ აქტში

არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზების გასწორება და სახალხო დამცველის აპარატის მართვის სისტემის გაძლიერება.

3. ცვლილებები **საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დებულებაში.** სახალხო დამცველის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ საქართელოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შექმნილი სახალხო დამცველის ინსტიტუციური გაძლიერების საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. ამ ჯგუფის მიერ მომზადდა საქართელოს პარლამენტის რეგლამენტში და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დებულებაში შესატანი ცვლილებების პროექტი. საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა ჯგუფის მუშაობის შედეგები და პარლამენტის რეგლამენტში შევიდა ცვლილება, რომელმაც განსაზღვრა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშის და სპეციალური მოხსენების განხილვის საფუძველზე პარლამენტის მიერ მიღებული დადგენილება უნდა შეიცავდეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის შეფასებას, აგრეთვე პარლამენტის რეკომენდაციებს და მათი შესრულების მონიტორინგის ვადებს. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის დებულებაში დეტალურად გაიწერა კომიტეტის მიერ საქართველოს სახალხო დამცველის ყოველწლიური საპარლამენტო ანგარიშიდან გამომდინარე რეკომენდაციების შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელების პროცედურები.

4. საკანონმდებლო წინადადება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116–ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომელიც შეეხება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 116-ე მუხლის პირველ ნაწილს, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს ,,სატრანსპორტო საშუალების მართვა ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში ან სატრანსპორტო საშუალების მართვისას კანონმდებლობით დადგენილი წესით ალკოჰოლური სიმთვრალის დასადგენად შემოწმებისათვის თავის არიდება.“

საქართველოს კანონების პროექტებზე სახალხო დამცველის მიერ წარდგენილ იქნა 14 წინადადება/მოსაზრება/შენიშვნა, ესენია:

1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტი და თანმდევი ცვლილებების პაკეტი.
2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი – ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით.
3. არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი.
4. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხების რეგულირება.
5. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტი – სისხლის სამართლის საქმეების გადასინჯვა ახლად გამოვლენილი გარემოებების არსებობისას.
6. საგზაო მოძრაობის შესახებ და პოლიციის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი.
7. მართლმსაჯულების მესამე ტალღის კანონპროექტები.

8. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი – რელიგიური გრძნობების შეურაცხოფის ადმინისტრაციული წესით დასჯასთან დაკავშირებით.
9. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ კანონის პროექტი და საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ კანონის პროექტი.
10. საარჩევნო კოდექსი – სპეციალურ უბნებთან დაკავშირებული ცვლილებები.
11. საჯარო რეესტრის შესახებ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი.
12. მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური რეგისტრაციისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ საქართველოს კანონში, საჯარო რეესტრის შესახებ კანონში და სხვა თამდევ აქტებში ცვლილებების პროექტი – მიწების რეგისტრაციასთან დაკავშირებით.
13. ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის პროექტი.
14. „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი.

5. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები

2016 წელს სახალხო დამცველმა მოამზადა სპეციალური ამგარიშები საკითხთა აქტუალობის გათვალისწინებით, რომელთა შესრულებაზე ასევე ხორციელდება მონიტორინგი.

2016 წელს 11 სპეციალური ანგარიში მომზადდა, რომელთა ფარგლებში სულ გაცემულია 185 რეკომენდაცია:

1. ადრეულ ასაკში ქორწინება: გამოწვევები და გადაჭრის გზები.
2. ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელება საქართველოში – მონიტორინგის შედეგები.
3. მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალური მომხსენებლის - მაინა კიაის 2012 წლის 8 ივნისის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა.
4. ანგარიში N6 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ.
5. სპეციალური ანგარიში რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ.
6. სპეციალური ანგარიში მინდობით აღზრდის სახელმწიფო ქვეპროგრამის მონიტორინგის შესახებ.
7. ადამიანის უფლებების მდგომარეობა სამეგრელო-ზემო სვანეთის გამყოფი ხაზის სოფლებში.
8. დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ.
9. ქმედუნარიანობა – საკანონმდებლო რეფორმა იმპლემენტაციის გარეშე.
10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი მდგომარეობა სახელმწიფო ზრუნვის დაწესებულებებში.
11. არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში.

III. სახალხო დამცველის ურთიერთობები ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

1. თანამშრომლობა სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორთან

საანგარიშო პერიოდში სახალხო დამცველი აქტიურად თანამშრომლობდა, როგორც სახელმწიფო უწყებებთან ასევე სამოქალაქო საზოგადოებასთან.

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების და უწყებეთშორისი საბჭოების მუშაობაში, რომელთა ნაწილში მონაწილეობა განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით:

1. იურიდიული დახმარების საბჭო.[3]
2. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო.[4]
3. საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შექმნილი სახალხო დამცველის ინსტიტუციური გაძლიერების საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფი;
4. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო
5. სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო;
6. დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის სამეთვალყურეო საბჭო;
7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დევნილთა საკითხების შემსწავლელი კომისია;
   ა. პრივატიზაციის საკითხებზე მომიშავე ჯგუფი;
   ბ. დევნილთა მიმართ კანონმდებლობის დახვეწაზე სამუშაო ჯგუფი;
   გ. დევნილთა საჭიროებაზე მორგებულ დახმარებაზე გადასვლის სამუშაო ჯგუფი;
8. სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და გადაადგილებას დაქვემდებარებული ოჯახების განსახლების საკითხების მარეგულირებელი კომისია;
9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან არსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პოლიტიკის განმსაზღვრელი საბჭო;
10. ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ჯგუფი;
11. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინკლუზიური პროფესიული განათლების საკონსულტაციო ჯგუფი;
12. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან არსებული, დაბერების საკითხებზე მომუშავე მულტისექტორული ჯგუფი;

[3] საქართველოს კანონი იურიდიული დახმარების შესახებ, მუხლი 10.

[4] „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი 211 მუხლის პირველი პუნქტი, მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი.

13. საქართველოს პროკურატურასა და ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტების და ადამიანის უფლებათა ოფისს (ODIHR) შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფი;

14. სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სამუშაო ჯგუფი;

15. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო;
16. ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭო;
17. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მიმნიჭებელი ჯგუფი;

საქართველოს სახალხო დამცველთან უკვე არაერთი წელია მოქმედებს თემატური საკონსულტაციო და მრჩეველთა საბჭოები:

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო

პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭო[5] 2014 წელს შეიქმნა და მისი მიზანია წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის ხელშეწყობა.2016 წელს გაიმართა პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკონსულტაციო საბჭოს 3 სამუშაო შეხვედრა, რომელზეც განიხილეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიმდინარე საქმიანობა და მუშაობის სტრატეგია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭო

საკონსულტაციო საბჭო, რომელიც 2015 წლის სექტემბერში შეიქმნა, წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის სტრატეგიის და პრიორიტეტების განმსაზღვრელ სათათბირო ორგანოს.[6]

2016 წელს გაიმართა საბჭოს 5 სამუშაო შეხვედრა; სხდომებზე განიხილეს კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის მიმდინარეობა და დაიგეგმა სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობები.

სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრი

ტოლერანტობის ცენტრი, რომელიც სახალხო დამცველთან 2005 წლიდან არსებობს და 2016 წელსაც აგრძელებდა საქმიანობას, აერთიანებს ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა საბჭოებს.

---

[5] საბჭოს შემადგენლობაში არიან საქართველოს სახალხო დამცველი, სახალხო დამცველის მოადგილეები, სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან დაკავშირებული აკადემიურ/საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწე, წამების პრევენციისა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. ამჟამად საბჭოს 6 წევრი ჰყავს. იხ. http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meqanizmi/prevenciis-erovnuli-meqanizmis-sakonsultacio-sabcho/prevenciis-erovnuli-meqanizmis-sakonsultacio-sabchos-shesaxeb.page

[6] საბჭოს შემადგენლობაში საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად შედიან სახალხო დამცველის აპარატის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები; იხ. http://www.ombudsman.ge/uploads/other/4/4005.pdf

2016 წლის ნოემბერში ეთნიკურ და რელიგიურ უმცირესობათა საბჭოებმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს, სადაც გასული წლების მსგავსად შეირჩნენტოლერანტობის ქომაგი მედიასაშუალება, ორგანიზაცია, პიროვნება და საჯარო მოხელე.

იმავე დღეს დაჯილდოვდნენ მედიაკონკურსში გამარჯვებულ ჟურნალისტები.

2016 წლის 29 ივლისს, ბათუმში ჩატარდა სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ ორგანიზებული ვიქტორინა „ეთნოსები და რელიგიები საქართველოში“.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველი აგრძელებდა აქტიურ თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან ინდივიდუალურად, მათ მიერ განსახორციელებელი პროექტების ან/და შექმნილი კოალიციების ფარგლებში, როგორიცაა, კოალიცია - „ეს შენ გეხება“, არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის საკითხებში, ნარკოპოლიტიკის ეროვნული პლატფორმა, ადამიანის უფლებათა ცენტრი[7], საქართველოს გაეროს ასოციაცია თავშესაფრის მაძიებელთა და ჰუმანიტარური სტატუსის მქონე პირების დახმარების, ინფორმაციის გაზიარების და ერთობლივი მონიტორინგების საკითხებში[8] და სხვა.

2. თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე

საერთაშორისო მრჩეველთა საბჭო

2016 წლის აპრილში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს მორიგი ვიზიტით ეწვივნენ საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს წევრები[9]: ნორვეგიის, ჰელსინკის კომიტეტის მრჩეველი ოგე ბორჩგრევინკი, კონფლიქტებისა და თანამშრომლობის ექსპერტი იორგენ იოჰანსენი, ევროპის საბჭოს პროგრამის „HELP in 28–ის“კოორდინატორი ევა პასტრანა და გაეროს სპეციალური მომხსენებელი მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების უფლების საკითხებში მაინა კიაი.

ორდღიან შეხვედრაზე სახალხო დამცველმა საბჭოს წევრებს აპარატის საქმიანობის მიმოხილვა გააცნო; შეხვედრაზე ასევე განიხილეს 2015 წელს მრჩეველთა საბჭოს მიერ ომბუდსმენისთვის შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა, მიაწოდეს ინფორმაცია 2015 წელს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კუთხით გამოვლენილი ტენდენციების შესახებ, ისაუბრეს სახალხო დამცველის მანდატის გაფართოვების შედეგად, აპარატში განხორციელებულ სტრუქტურულ ცვლილებებზე. საერთაშორისო ექსპერტებმა დადებითად შეაფასეს სახალხო დამცველის აპარატის მუშაობა ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით,

---

[7] 2016 წელს სახალხო დამცველსა და ადამიანის უფლებათა ცენტრს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

[8] 2016 წელს სახალხო დამცველსა და საქართველოს გაეროს ასოცოაციას შორის (UNAG) გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

[9] საერთაშორისო მრჩეველთა საბჭოს შექმნა სახალხო დამცველის 2013 წლის სამოქმედო სტრატეგიული გეგმის ნაწილი იყო. საბჭოს მიზანია დაეხმაროს სახალხო დამცველს ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში პრიორიტეტებისა და პერსპექტივების განსაზღვრა-განხორციელებაში; იხ. http://www.ombudsman.ge/ge/about-us/saertashoriso-mrchevelta-sabcho/sabchos-shesaxeb/saertashoriso-mrchevelta-sabcho.page

მათ შორის ადამიანის უფლებათა აკადემიის ამოქმედება სამოქალაქო განათლების დონის ამაღლების კუთხით.

თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტებთან (ომბუდსმენებთან)

სახალხო დამცველის აპარატი არის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების არაერთი ასოციაციის წევრი, როგორებიცაა:

1. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსი (GANHRI);
2. ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელი (ENNHRI);
    a. ევროპის საკოორდინაციო კომიტეტი (ECC);
    b. ფინანსური კომიტეტი (FC);
3. ბავშვთა ომბუდსმენების ევროპული ქსელი (ENOC);
4. ომბუდსმენების საერთაშორისო ინსტიტუტი (IOI);
5. ომბუდსმენების ევროპული ინსტიტუტი (EOI);
6. ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების ომბუდსმენების ასოციაცია (AOM);
7. აზიის ომბუდსმენების ასოციაცია (AOA).

საქართველოს სახალხო დამცველი ასევე არის თანასწორობის სტრუქტურების ევროპული გაერთიანების (EQUINET) წევრი დამკვირვებლის სტატუსით.

2016 წლის მარტში საქართველოს სახალხო დამცველი ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების გლობალური ალიანსის (GANHRI) საბჭოს წევრად აირჩიეს, რომელიც აერთიანებს ოთხი რეგიონის: აფრიკის, ამერიკის, აზიისა და ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ ინსტიტუტებს. ალიანსის მმართველი ორგანო - საბჭო შედგება თითო რეგიონიდან არჩეული ოთხი „A“ სტატუსის მქონე ინსტიტუტისგან.

ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ევროპული გაერთიანების გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით, საქართველოს სახალხო დამცველი 2016 წლიდან ზედიზედ მეორედ, სამი წლის ვადით გახდა ევროპული ქსელის საკოორდინაციო კომიტეტის (ECC) წევრი, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ევროპული გაერთიანების ადმინისტრაციულ და მმართველობით საკითხებზე. კომიტეტი არის ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის (ENNHRI) მმართველი ორგანო, რომელიც შედგება 40-ზე მეტი ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტისგან მთელი ევროპის რეგიონიდან.

2016-დან 2019 წლამდე საქართველოს სახალხო დამცველი ასევე არჩეულია ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტების ევროპული ქსელის ფინანსური კომიტეტის წევრად. კომიტეტი ზედამხედველობს ქსელის ბიუჯეტს, პასუხისმგებელია ფინანსების მოძიებაზე. ის ასევე მიმართავს ევროპის საკოორდინაციო კომიტეტსა და გენერალურ ასამბლეას ქსელის ფინანსური გაძლიერების შესახებ წინადადებებით. კომიტეტი სულ სამი წევრისგან შედგება, საქართველოს სახალხო დამცველთან ერთად წევრები არიან დიდი ბრიტანეთის ადამიანის უფლებათა და თანასწორობის კომიტეტი და ბელგიის რეგიონული ცენტრი თანაბარი შესაძლებლობებისთვის (UNIA).

ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმებისათვის გაგზავნილი წერილობითი მოსაზრებები/კითხვარები

2016 წელს საქართველოს სახალხო დამცველის ჩართულობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა 14 წერილობითი მოსაზრება/კითხვარი, წარადგინა სხვადასხვა საერთაშორისო ინსტიტუტებში:



UNHCR	UNHCR -ის მოქალაქეობის არმქონე პირების შესახებ კითხვარი
OHCHR	შშმ პირთა უფლებების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის კითხვარი ინკლუზიური პროგრამების შესახებ
GANHRI	ადამიანის უფლება დამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მდგომარეობის შესახებ
GANHRI	''A'' სტატუსის მქონე ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტების თანამშრომლობა პარლამენტთან
OHCHR	გაეროს შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის მე-5 მუხლთან დაკავშირებით
OHCHR	გაეროს სპეციალური მომხსენებლის ლეილანი ფაჰრას კითხვარი სათანადო საცხოვრისზე უფლების შესახებ
OHCHR	კითხვარი ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ

საქართველოს გაეროს ასოციაცია	საქართველოში რელიგიური და სექსუალური უმცირესობების უფლებრივიმდგომარეობის, აგრეთვე, დისკრიმინაციის აღმოფხვრის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკისა და სამართალდამცავი უწყებებისმიერ დასახელებულ უმცირესობათა მიმართ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე სათანადო რეაგირების შესახებ
აშშ-ს საელჩო საქართველოში	2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის სექტემბრამდე ადამიანის უფლებების მდგომარეობა ქვეყანაში
OHCHR	ტერორიზმთან ბრძოლის დროს ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული საუკეთესო პრაქტიკა და გამოწვევები
ILO - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შრომისა და დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შესახებ N111 კონვენციის შესრულების შესახებ
CEDAW	ქალთა გაძლიერებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ
SPT	პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის წლიური ანგარიშის შესახებ
OHCHR	შშმ პირთა ხელშეწყობის სხვადასხვა ასპექტის შესახებ

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის, როგორც ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტის ალტერნატიული ანგარიშები გაიგზავნა:

- გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტში (CRC)
- გაეროს რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტში (CERD)

სახალხო დამცველის გამოხმაურება სახელმწიფოს მიერ კომიტეტისთვის მიწოდებულ ინფორმაციაზე გაიგზავნა:

- ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი (CEDAW)

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველსა და გაეროს ბავშვთა ფონდს შორის (UNICEF) გაფორმდა უერთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი - საქართველოში ბავშვთა უფლებების რეალიზაციის და ბავშვთა უფლებების სფეროში მიმდინარე რეფორმების მხარდაჭერის მიზნით.

IV. საგანმანათლებლო საქმიანობა

1. სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემია

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, ადამიანის უფლებების შესახებ საგანმანათლებლო საქმიანობის წარმართვა, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების ცნობიერების ამაღლება სახალხო დამცველის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს. ამ ფუნქციის ეფექტურად შესრულებისათვის, 2015 წლის 19 ოქტომბერს სახალხო დამცველმა ადამიანის უფლებათა აკადემია შექმნა, რომლის საქმიანობა 2016 წელს უფრო მასშტაბური გახდა.

ადამიანის უფლებათა აკადემია სახალხო დამცველის აპარატის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის უფლებების სფეროში სამართლებრივი და სხვა ასპექტების შესახებ სამიზნე ჯგუფების ცოდნის გაღრმავებას, ინტენსიური სასწავლო კურსების მეშვეობით.

2016 წელს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში ჩატარდა 15 თემატური სასწავლო კურსი, რომელშიც მონაწილეობა 347 პირმა მიიღო.

	სასწავლო კურსის დასახელება	სამიზნე ჯგუფები	მონაწილეთა რაოდენობა
1	გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა	დამწყები ჟურნალისტები	20
2	სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება	პროკურორები და გამომძიებლები	42
3	ადამიანის უფლებებისა და კონფლიქტის თემის გაშუქება ჟურნალისტების მიერ	ჟურნალისტები	17
4	ბავშვის ფსიქოლოგიური/ფსიქიატრიული საჭიროებების იდენტიფიკაციის უნარების განვითარება	მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების ფსიქოლოგები	22
5	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის იმპლემენტაცია და მონიტორინგი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები	18
6	ადამიანის უფლებები სამხედრო სამსახურში	სამხედრო მოსამსახურეებისა და სამხედრო ნაწილების იურისტები	25
7	ბავშვის უფლებები	მართლმადიდებელი ეკლესიისა და საქართველოში მუსლიმური კონფესიის დაქვემდებარებაში მყოფი ბავშვთა სახლების	19

		აღმზრდელები	
8	გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა	ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ბაკალავრიისა და მაგისტრატურის სტუდენტები	15
9	სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიება	შინაგან საქმეთა სამინისტროს დეტექტივ–გამომძიებლები	44
10	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა და მათი საჭიროებების გათვალისწინება ბიუჯეტირების პროცესში	თვითმმართველობების მერიებისა და საკრებულოების ჯანდაცვის და სოციალურ საკითხებზე მომუშავე პირების და საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის წარმომადგენლები	17
11	პენიტენციური დაწესებულებების ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მართვა	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს თანამშრომლები	22
12	საერთაშორისო სასამართლოები და საქართველოს შესახებ მიმდინარე საქმეების გაშუქება	ჟურნალისტები	15
13	ლტოლვილთა საერთაშორისო დაცვის საკითხები	სამართალმცოდნეობისა და საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურის სტუდენტები	16
14	„გენდერული საკითხების გაშუქება და ჟურნალისტური ეთიკა“	ჟურნალისტები	15
15	ოჯახში ძალადობა და მასზე რეაგირების მექანიზმები	პოლიციის თანამშრომლები	40

2. კონკურსი „მე ომბუდსმენი“

„მე – ომბუდსმენი“ საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ორგანიზებული ტრადიციული კონკურსია, რომელიც ადამიანის უფლებათა საკითხებში 13–18 წლის სკოლის მოსწავლეების დაინტერესებისა და ცნობიერების ამაღლებისთვისაა განკუთვნილი.

2016 წელს კონკურსი „მე ომბუდსმენი“, ევროკავშირის პროექტის „სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა“ ფინანსური დახმარებით, უკვე მეშვიდედ გაიმართა. თამაში 10 ოქტომბერს დაიწყო და რეგისტრაცია 864 გუნდმა – 1 728 მოსწავლემ გაიარა. 2016 წლის 9 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში იანოშ ჰერმანმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა და საპარლამეტო უმრავლესობის ლიდერმა არჩილ თალაკვაძემ კონკურსის „მე ომბუდსმენი 2016“ გამარჯვებული მოსწავლეები დააჯილდოეს[10].

[10] პირველი ადგილი ფოთის N15 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა ნინი ხაინდრავამ და ჯულიეტა ჯანელიძემ დაიკავეს (გუნდი „ჯუნი“), მეორე ადგილზე გავიდნენ ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ქვედა საზანოს N1 საჯარო სკოლის მოსწავლეები მარიამ თორთლაძე და ნანა აფრიდონიძე (გუნდი „ოლიმპო“), ხოლო მესამე ადგილი საჩხერის


გუნდების რაოდენობა
კონკურსში მე-ომბუდსმენი
864
142
11
დარეგისტრირებული გუნდები
მეორე ტურში გადავიდა
ფინალისტები


ფინალისტი გუნდები
თბილისი, 1
საჩხერე, 1
ზესტაფონი, 1
ფოთი, 8

V. საზოგადოებასთან ურთიერთობა

2016 წელს შენარჩუნდა და გაფარდოვდა მედია-საშუალებებში სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობის მაღალი გაშუქების ტენდენცია; სხვადასხვა პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან მიმართებაში გაკეთდა მნიშვნელოვანი კომენტარი და შეფასება.







VI. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ადამიანური და ფინანსური რესურსი

1. დასაქმებულთა რაოდენობა

2016 წელს სახალხო დამცველის აპარატში მომუშავე პირთა საერთო რაოდენობამ 148 შეადგინა, რომელთაგან 21 თანამშრომელი დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში იყო დასაქმებული.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველის აპარატის შტატით გათვალისწინებულ 33 ვაკანტურ თანამდებობაზე ჩატარდა საჯარო კონკურსი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.





2. რეგიონული ოფისები

სახალხო დამცველი 2016 წელსაც აგრძელებდა რეგიონებში მისი საქმიანობის გაძლიერებას, როგორც წარმომადგენლობის გაზრდის, ასევე სხვადასხვა აქტივობების რეგიონებში ჩატარების გზით. აღნიშნულის მიზანია რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, მათი აქტიურობისა და ჩართულობის გაზრდა ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ასევე, იმ სოციალ-ეკონომიკური მიმართულებების იდენტიფიცირება, რომელზეც სახალხო დამცველმა უნდა გააძლიეროს მუშაობა და მიმართოს შესაბამისი სახელმწიფო უწყებების ყურადღება.

ქვეყნის მასშტაბით სახალხო დამცველის 8 რეგიონული ოფისი ფუნქციონირებს:

ქალაქი	გახსნის წელი
ზუგდიდი	2001
ქუთაისი	2001
ბათუმი	2005
მარნეული	2008
გორი	2009
ახალქალაქი	2009
თელავი	2014
ოზურგეთი	2015

8 რეგიონულ ოფისში საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ თანამდებობაზე დასაქმებულია 21 თანამშრომელი. ხოლო, იმ რეგიონებში, სადაც სახალხო დამცველის ოფისი არ ფუნქციონირებს, სხვადასხვა დონორი ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში 2016 წელს საქმიანობდა 9 საკონტაქტო პირი.

შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში რეგიონებში სახალხო დამცველის 30 წარმომადგენელი საქმიანობდა.

რეგიონილ ოფისების თანამშრომელთა და პროექტის ფარგლებში დასაქმებულ საკონტაქტო პირებთა მონაცემები ასე გამოიყურება:



საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების და საკონტაქტო პირების გეოგრაფიული მდებარეობა:



საქართველოს სახალხო დამცველის საკონტაქტო პირების მიერ 2016 წელს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში სულ ჩატარდა 466 შეხვედრა.

ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში და მინუციპალიტეტის სოფლებში შეხვედრების დროს მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სახალხო დამცველის მანდატისა და რეგიონული ოფისების, ასევე ადამიანის უფლებათა სხვადასხვა საკითხების შესახებ. მსგავსი შეხვედრები ასევე ემსახურება რეგიონებში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების იდენტიფიცირების მიზანს. შეხვედრები ჩატარდა მუნიციპალიტეტების გამგებლებთან და სოფლის რწმუნებულებთანაც.




შეხვედრები გურიის რაიონის მუნიციპალიტეტში
გურიის რეგიონი
78
ოზურგეთი
39
ჩოხატაური
18
ლანჩხუთი
21


შეხვედრები კახეთის რაიონის მუნიციპალიტეტში
კახეთის რეგიონი
192
ლაგოდეხი
39
სიღნაღი
11
დედოფლისწყარო
35
ყვალელი
10
გურჯაანი
34
ახმეტა
34
საგარეჯო
29





სახალხო დამცველმა 2016 წელს ქუთაისში, ბათუმში და თელავში პირველად გამართა საჯარო დებატები, რომელიც უკვე მეორე წელია ყოველი თვის ბოლო პარასკევს იმართება, ადამიანის უფლებათა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე, ევროკავშირის მხარდაჭერით:

- 2016 წლის 27 მაისს ქუთაისში საჯარო დებატები გაიმართა თემაზე: „ქვეყანაში არსებული ნარკოპოლიტიკა“.
- 2016 წლის 29 ივლისს ბათუმში საჯარო დებატები გაიმართა თემაზე „უსახლკარობა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობა და ეკომიგრაციის სფეროში არსებული გამოწვევები აჭარაში“.
- 2016 წლის 25 ნოემბერს თელავში საჯარო დებატები გაიმართა თემაზე: „ტრადიციით გამართლებული ძალადობა გოგონებსა და ქალებზე“.

3. სახალხო დამცველის აპარატის ბიუჯეტი

საქართველოს სახალხო დამცველის საბიუჯეტო დაფინანსებამ 2016 წელს 4 500 000 ლარი შეადგინა, მზარდი იყო პროექტების ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსებაც.



4. სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული პროექტები

საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახალხო დამცველმა სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერით არაერთი პროექტი განახორციელა. პროექტები მოიცავდა ბავშვთა დაწესებულებების, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჯანმრთელობის უფლების დაცვის მონიტორინგს, სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში და სხვა. სახალხო დამცველის აპარატმა ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების მონიტორინგი.

2016 წელს შესრულებული და მიმდინარე პროექტები ასე გამოიყურება:

დონორი	პროექტი	პერიოდი
ევროკავშირი	„სახალხო დამცველის აპარატის მხარდაჭერა“	2014-2017
გაერთიანებული ერების ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის	„სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა მდგომარეობის შესწავლაში“	2016 წლის იანვარი - 2016 წლის დეკემბერი

ოფისი		
გაეროს ბავშვთა ფონდი "UNICEF"	სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება ბავშვის უფლებების დაცვის მონიტორინგის კუთხით	2016 წლის სექტემბერი 2017 წლის სექტემბერი
ბულგარეთის საელჩო	სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერება კახეთის რეგიონში	2016 წლის მაისი 2017 წლის იანვარი
ევროსაბჭო	სახალხო დამცველის ოფისის შესაძლებლობების გაძლიერება	2015-2017 იანვარი
ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო	ადამიანის უფლებათა სკოლა	2015-2016 წლები
გაეროს ქალთა ორგანიზაცია "UN Women"	გაეროს ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობის ხელშეწყობისთვის"	2016-2020 წლები
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების მონიტორინგი საარჩევნო პერიოდში	2016 წლის სექტემბერი - 2017 წლის მარტი
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო	ჯანმრთელობის უფლების დაცვის ხელშეწყობა პენიტენციალურ სისტემაში	2016 წლის მაისი 2017 წლის ივლისი